

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი



სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

დმანისის რაიონში სოფ. განთიადში (საკადასტრო კოდი 82.13.43.101) მდებარე, ცენტრის ბალანსზე რიცხული შენობის საჯიშე საბუღე ფერმის რეკონსტრუქციისა და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვის ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

(დაფინანსების წყარო: 2015-2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი)

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12¹ მუხლის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის #9 ბრძანების საფუძველზე.

2015 წელი
ქ. თბილისი

სარჩევი

- | | |
|--|--------|
| 1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის | 3 გვ. |
| 2. ტექნიკური დოკუმენტაცია | 4 გვ. |
| 3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი | 8 გვ. |
| 4. დანართი N1 (რეკვიზიტები) | 14გვ. |
| 5. დანართი N2 (ინფორმაცია 2011-2014 წლების განმავლობაში შესრულებული ანალოგიური ან მსგავსი სამუშაოების შესახებ) | 15 გვ. |
| 6. დანართი N3 (ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ) | 16გვ. |
| 7. დანართი N 4 ინფორმაცია გარანტიის ვადების შესახებ | 17 გვ. |
| 8. დანართი N 5 ინფორმაცია მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შესახებ | 18 გვ. |
| 9. დანართი N 6 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ფორმა | 19გვ. |

1. ინსტრუქცია ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

1.1 ელექტრონული შესყიდვა ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (შემდგომში სისტემა) მეშვეობით.

1.2 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესყიდვისპროცედურები ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანების შესაბამისად.

1.3 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.5 ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულებების დადების მომენტისათვის დაზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

1.7 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში მისამართზე: ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის #6 საკონტაქტო პირი: მიხეილ ჩიტაძე, ტელ: 599 33 22 09.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

2.1.1 დმანისის რაიონში სოფ. განთიადში (საკადასტრო კოდი 82.13.43.101) მდებარე, ცენტრის ბალანსზე რიცხული შენობის საჯიშე საბუღე ფერმის რეკონსტრუქციისა და ეზოს კეთილმოწყობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, შესრულებული უნდა იქნას რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად, რომლებიც წარმოადგენენ სატენდერო დოკუმენტაციის ნაწილს და დანართების სახით თან ერთვის მას.

2.1.2 სამუშაოების შესრულებისას გამოყენებული მასალები და მოწყობილობები უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

2.1.3 სამუშაოების შესრულების პროცესში მიმწოდებელმა მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა და უზრუნველყოს უსაფრთხოების ნორმების დაცვა, მათ შორის სამშენებლო მოედანზე უსაფრთხოების ღობის შემოვლება.

2.1.4 მუშაობის პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

2.1.5 მშენებლობის დასრულების შემდგომ მიმწოდებელი ვალდებულია გაათავისუფლოს სამშენებლო მოედანი და მიმდებარე ტერიტორია სამშენებლო ნარჩენებისაგან, მოწყობილობა-დანადგარებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა.შ.

2.1.6 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების მიმდინარეობის პროცესი უზრუნველყოს საჭირო რესურსით (მათ შორის ადამიანური რესურსით, მასალით და მოწყობილობებით).

2.1.7 მიმწოდებლის მიერ ხარჯთაღრიცხვის შედგენისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების ზღვრული პროცენტული მაჩვენებლები უნდა განისაზღვროს „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის #55 დადგენილების შესაბამისად.

2.1.8 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს კომუნალური გადასახადების (წყალი, ელექტრო ენერჯია) გადახდა.

2.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები:

2.2.1 სამუშაოები უნდა დასრულდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 თვის.

2.2.2 მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას მის მიერ წარმოდგენილი სამშენებლო სამუშაოების გეგმა-გრაფიკი. გეგმა-გრაფიკი უნდა ითვალისწინებდეს, სამუშაოების განხორციელებას ეტაპობრივად, ყველა თანმდევი სამუშაოს გათვალისწინებით.

2.3 შესყიდვის სავარაუდო ღირებულება:

2.3.1 შესყიდვის საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს: 840,000 (რვაას ორმოცათასი) ლარს.

2.4 სამუშაოების მიღება-ჩაბარების წესი:

2.4.1 სამუშაოების მიღება-ჩაბარება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ფორმა #2-ის შემდეგ (რომლის დადასტურება უნდა მოხდეს შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ).

2.4.2 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს დამკვეთის მიერ დადასტურებული ფორმა #2-ის ექსპერტიზა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ში ან სხვა აკრედიტირებული ექსპერტიზის მიერ.

2.4.3 ექსპერტიზის დასკვნებისა და ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე მიმწოდებლისა და შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ფორმდება სათანადო მიღება-ჩაბარების აქტი.

2.4.4 დასრულებული სამუშაოების მიღება განხორციელდება მიმწოდებლისა და შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ შესაბამისი საბოლოო მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

2.4.5 სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტირებული ექსპერტიზის დასკვნ(ებ)ის მოპოვება არის მიმწოდებლის ვალდებულება და აღნიშნული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

2.5 ანგარიშსწორების პირობები:

2.5.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახელმწიფო გადასახადის და ხარჯის გათვალისწინებით.

2.5.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში 2.4 პუნქტში მითითებული დოკუმენტების წარმოდგენის შემდგომ 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.

2.5.3 მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში წარმოადგინოს 100,000 ლარის საბანკო გარანტია, რომელიც იქნება გაცემული საქართველოში რეგისტრირებული ბანკის მიერ.

2.5.4 თეთრ სიაში დარეგისტრირებული მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას წინასწარ მოთხოვნილი თანხის ნახევრის ოდენობის საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა ასევე 30 დღით უნდა აღემატებოდეს მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

2.5.5 მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე პირველ ეტაპზე გამოიქვეითება ავანსის სახით გადარიცხული თანხები, ხოლო დარჩენილი თანხა ანაზღაურებული იქნება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.

2.5.6 ანგარიშსწორების ეტაპზე ანაზღაურებული იქნება მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობის შესაბამისი ღირებულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეული ფასების მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს ხარჯთაღრიცხვაში მითითებული მოცულობისა.

2.6 საგარანტიო ვადები და პირობები

2.6.1 შესრულებული სამუშაოებზე, გამოყენებულ მასალებზე და დამონტაჟებული აგრეგატებზე მიმწოდებლის მხრიდან უნდა ვრცელდებოდეს საგარანტიო ვადა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან არანაკლებ 2 (ორი) წელს.

2.6.2 საგარანტიო მომსახურება უნდა ვრცელდებოდეს საგარანტიო პერიოდში ნებისმიერი ხარვეზისა და დეფექტის აღმოფხვრაზე (შეკეთება/შეცვლა ახლით), გარდა შემსყიდველის მხრიდან გაუფრთხილებლობით გამოწვეული მექანიკური დაზიანებისა.

2.7 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:

2.7.1 ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია რომელიც იქნება გაცემული საქართველოში რეგისტრირებული ბანკის მიერ, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3%-ის ოდენობით დანართი N6-ის მიხედვით.

2.7.2 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ, სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით იქნება დაბალი შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით, დანართი N6-ის მიხედვით. თეთრ სიაში რეგისტრაციის შემთხვევაში აღნიშნული ოდენობა ნახევრდება.

2.7.3 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

2.7.4 საბანკო გარანტია წარმოდგენილ უნდა იქნეს ხელშეკრულების გაფორმებამდე.

2.8 საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

2.8.1 საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) ინფორმაცია უფლებამოსილი ორგანოდან, რომ არ მიმდინარეობს პირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;
- ბ) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
- გ) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;
- დ) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან პირის საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ.

2.8.2 ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების

წესისდამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში – საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებამდე არა უგვიანეს ოცდაათი დღისა.

2.8.3 თეთრ სიაში დარეგისტრირებული მიმწოდებელი თავისუფლდება ელექტრონულ ტენდერში საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის ვალდებულებისაგან.

2.9 პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

2.9.1 რეკვიზიტები დანართი N1-ის შესაბამისად;

2.9.2 პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს 2012-2015 წლების განმავლობაში ანალოგიური ან მსგავსი დასრულებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესრულების გამოცდილება, რომელთა ჯამური სახელშეკრულებო ღირებულებები შეადგენს არანაკლებ 1,500,000.0 (ერთიმილიონ ხუთასიათასი) ლარს, რაზედაც მის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი ხელშეკრულება ან ხელშეკრულებები და დამკვეთის მიერ დამოწმებული, სამუშაოების საბოლოო მიღების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების ასლები თანხების მითითებით.

2.9.3 შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა დანართი N2-ის შესაბამისად.

2.9.4 შესასრულებელი სამუშაოების გეგმა-გრაფიკი.

იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა შესაძლებელია დასაბუთდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ექსპერტიზის სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტირებული ექსპერტის მიერ გაცემული დასკვნით, რომელიც დაადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(წინამდებარე ხელშეკრულება დეტალურად დაზუსტდება მიმწოდებლის
სატენდერო წინადადების შესაბამისად)

თბილისი

„____“ _____ 2015 წ.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული წესის საფუძველზე, შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
- 1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ *სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი*

(შემდგომში “შემსყიდველი”) *მდებარე ქ. თბილისი მარშალ გელოვანის გამზ. 6*

და მეორეს მხრივ _____ (შემდგომში “მიმწოდებელი”) შორის. მდებარე

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ბალანსზე რიცხული დმანისის რაიონში სოფ. განთიადში (საკადასტრო კოდი 82.13.43.101) მდებარე, ცენტრის ბალანსზე რიცხული შენობის საჯიშე საბუღე ფერმის რეკონსტრუქციისა და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების (CPVკოდი:45400000) შესყიდვა ელექტრონული ტენდერის საშუალებით (სატენდერო განცხადების #).

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს _____ ლარს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით. (დანართი№6).

4.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა შესაბამის გადასახადს.

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახელმწიფო გადასახადის და ხარჯის გათვალისწინებით.

5.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში 2.4 პუნქტში მითითებული დოკუმენტების წარმოდგენის შემდგომ 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში წარმოადგინოს 100,000 ლარის საბანკო გარანტია, რომელიც იქნება გაცემული საქართველოში რეგისტრირებული ბანკის მიერ.

5.4 თეთრ სიაში დარეგისტრირებული მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას წინასწარ მოთხოვნილი თანხის ნახევრის ოდენობის საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა ასევე 30 დღით უნდა აღემატებოდეს მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

5.5 მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე პირველ ეტაპზე გამოიქვითება ავანსის სახით გადარიცხული თანხები, ხოლო დარჩენილი თანხა ანაზღაურებული იქნება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.

5.6 ანგარიშსწორების ეტაპზე ანაზღაურებული იქნება მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობის შესაბამისი ღირებულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეული ფასების მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს ხარჯთაღრიცხვაში მითითებული მოცულობისა.

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები შეასრულოს მისთვის გადაცემული რეკონსტრუქციის სამშენებლო-საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით.

ბ) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დღიდან არაუგვიანეს ----- პერიოდში, ხოლო სამუშაოების თითოეული ეტაპის შესრულება განახორციელოს სამუშაოთა წარმოების თანდართული კალენდარული გეგმა-გრაფიკისა (დანართი N----) და შეთანხმებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად (დანართი N---), რომლებიც ასევე წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

გ) სამუშაოების შესრულების პროცესში მკაცრად დაიცვას საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმები და სტანდარტები, ასევე უსაფრთხოების მოთხოვნები.

დ) სამუშაოების თითოეული ეტაპის შესრულების შემდგომ უზრუნველყოს მის მიერ წარმოდგენილი ფორმა #2-ის ექსპერტიზა, რომელიც განხორციელებული უნდა იქნეს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო-ს ან სხვა აკრედიტირებული ექსპერტიზის მიერ.

ე) საჭიროების შემთხვევაში, ინსპექტირების განხორციელებისას ხელი შეუწყოს შემსყიდველს, რათა ინსპექტირება განხორციელოს დროულად და შეუფერხებლად.

ვ) სამუშაოების დასრულების შემდეგ გარემოს საჭირო და სათანადო აღდგენაზე დამინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- ა) უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება.
- ბ) შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და ოდენობით.
- გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

7. განხორციელებული სამუშაოების ხარისხი და გარანტია:

- 7.1 შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა უნდა შეადგენდეს სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან არანაკლებ 2 (ორი) წელს.
- 7.2 საგარანტიო მომსახურება უნდა ვრცელდებოდეს საგარანტიო პერიოდში ნებისმიერი ხარვეზისა და დეფექტის აღმოფხვრაზე (შეკეთება/შეცვლა ახლით), გარდა შემსყიდველის მხრიდან გაუფრთხილებლობით გამოწვეული მექანიკური დაზიანებისა.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი:

- 8.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს (მათ შორის მესამე პირის მეშვეობით) უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის 7.1 პუნქტით გათვალისწინებულ საგარანტიო პერიოდში, განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების და სამუშაოების ხარისხის პერიოდული კონტროლი.
- 8.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით შესრულებული სამუშაო, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებით დადგენილ ვადებში გამოასწოროს წუნი, ან თუ მიმწოდებელი ვერ შეძლებს წუნის გამოსწორებას და შემსყიდველს გადახდილი აქვს ამ წუნდებული სამუშაოს ღირებულება, მიმწოდებელი ვალდებულია მოახდინოს წუნდებული სამუშაოს ღირებულების დაბრუნება.
- 8.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

9. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

- 9.1 სამუშაოების მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, თითოეულ დასრულებულ ეტაპზე შედგენილი ფორმა #2-ის წარმოდგენის შემდეგ.
- 9.2 სამუშაოების თითოეული ეტაპის დასრულების შემდგომ მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მის მიერ წარმოდგენილი ფორმა #2-ის ექსპერტიზა, რომელიც განხორციელებული უნდა იქნეს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო-ს ან/და სხვა რომელიმე აკრედიტირებული ექსპერტიზის მიერ.
- 9.3 ექსპერტიზის დასკვნების საფუძველზე მიმწოდებლისა და შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ფორმდება სათანადო მიღება-ჩაბარების აქტი.
- 9.4 მთლიანად დასრულებული სამუშაოების საბოლოო მიღება განხორციელდება მიმწოდებლისა და შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ შესაბამისი საბოლოო მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.
- 9.5 ექსპერტიზის დასკვნ(ებ)ის მოპოვება არის მიმწოდებლის ვალდებულება და აღნიშნული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

10. გამოყენებული სამართალი

10.1 პირობები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებაში, რეგულირდება (ინტერპრეტირებული იქნება) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 „მიმწოდებელი“ პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა:

12.1 მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივად არღვევის და/ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს უფლება აქვს წერილობით ან ზეპირად მიუთითოს მას აღნიშნულ გარემოებაზე და მოსთხოვოს მისი გამოსწორება გონივრულ ვადაში, რაც შეტყობინების სახით ეგზავნება მეორემხარეს, ხოლო შეტყობინებაში მითითებული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ ანდა დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე შემსყიდველისათვის აზრს კარგავ ურთიერთობის გაგრძელება ეს უკანასკნელი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

12.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკის ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0.2% ოდენობით.

12.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან. ამასთან, მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ანარაჯეროვანი შესრულებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

12.5 ხელშეკრულებიდან ვადამდე გასვლასთან, ხელშეკრულების შეწყვეტასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 „შემსყიდველს“ უფლება აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუკი: ა) „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია უზრუნველყოს მომსახურების ან მისი ნაწილის გაწევა; ბ) „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ სხვა ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 „შემსყიდველს“ უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე თუ: ა) „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას; ბ) „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში; გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14. უფლებების გადაცემა:

14.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

15. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა:

15.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

15.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

16. ხელშეკრულების შესრულების გარანტიები

16.1. ხელშეკრულების ხელმოწერისას მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3%-ის ოდენობით.

16.2. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების გარანტია არანაკლებ 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

16.3. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების ღირებულების 3%-იანი საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისან არასრული შესრულების გამო. ამ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმართოს ხელშეკრულების შესრულების გარანტიის გამცემ დაწესებულებას და მოითხოვოს ხელშეკრულების შესრულების გარანტიით გათვალისწინებული თანხა.

16.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი საბოლოო მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტის გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოფს ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაბრუნებას.

16.5 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებას ან ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს გარანტიის დაუყოვნებლივ დაბრუნება.

16.6 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს ხელშეკრულების შესრულების გარანტიის გამცემ დაწესებულებას და მოითხოვოს ხელშეკრულების შესრულების გარანტიით გათვალისწინებული თანხა

17. დავების გადაწყვეტა

17.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

17.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველი დამიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგინილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის ----- ჩათვლით.

19. ფორს-მაჟორი

19.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

19.2. ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღებელი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

19.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

17. სხვა პირობები

17.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, რომლის ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ხოლო ორი ეგზემპლარი შემსყიდველთან.

17.3 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

სსიპ სოფლის მეურნეობის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

დანართი N1

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ბანკი:

ბანკი კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

პრეტენდენტის წარმომადგენელი _____
(თანამდებობა, სახელი გვარი, ხელმოწერა)

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა

(საბანკო გარანტია)

ვის: _____

(შემსყიდველის დასახელება) მხედველობაში ვიღებთ, რომ

(მიმწოდებლის დასახელება)

შემდგომში „მიმწოდებელმა“ ტენდერში წარდგენილი თავისი
(ტენდერის დასახელება)

სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:

(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

და ვკისრულობთ ზემოაღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია _____

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

(თარიღი)

(მისამართი)

